გამოყენების ინსტრუქცია

ინსეტოქსი (Insetox)

Deltametrine, Boric acid

წამლის ფორმა

ფხვნილი გარეგანი გამოყენებისთვის, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ექტოპარაზიტიციდები, გარეგანი გამოყენების, მ.შ ინსექტიციდები; Atc vet.code: QP53AC11-Deltamethrin და QS02AA03-Boric acid

სამიზნე სახეობა: შინაური ცხოველები და ფრინველები

შემადგენლობა

1გ ფხვნილი შეიცავს: 5% -იან დელტამეტრინს 0,02 გ, ბორის მჟავას - 0,05 გ

დამხმარე ნივთიერებები: ტალკი

გარეგნული აღწერა: თეთრი ან მონაცრისფრო ფერის ფხვნილი

გამოშვების ფორმა: 500 გ ვერცხლისფერ პოლიეთილენის პაკეტში და 50 გ გარეგანი გამოყენების ფხვნილი თეთრი ფერის პოლიეთილენის ფლაკონში

ფარმაკოლოგიური თვისებები

ინსეტოქსი ხასიათდება ფართო სპექტრის ინსექტოაკარიციდული მოქმედებით, აქტიურია მუნის, ქათმის ტკიპის, ფარეხის ტკიპების, ბუზების, ბაღლინჯოების და სხვა ექტოპარაზიტების წინააღმდეგ. რეკომენდებულ დოზებში და კონცეტრაციებში არ ახასიათებს ადგილობრივი გამაღიზიანებელი და ალერგიული მოქმედება. ტოქსიკურია თევზებისა და ფუტკრებისათვის.

გამოყენების ჩვენებები

ინსეტოქსი გამოიყენება შინაური ცხოველებისა და ფრინველების გარეგანი დამუშავებისათვის, ყველა სახეობის გარეგანი პარაზიტების (მკბენარების, ტკიპები, რწყილები და სხვა) გასანადგურებლად.

გამოყენების წესი და დოზირება

ცხოველებს ინსექტოაკარიციდული ფხვნილი მოაყარეთ დაინვაზირების ადგილებზე ან რთულ შემთხვევებში სხეულის მთელ ზედაპირზე და ხელით შეაზილეთ 1-2 წუთის განმავლობაში.

ფრინველს შეაფრქვიეთ ფრთებქვეშ, გულ-მკერდისა და კლოაკის მიდამოებში.

სამკურნალო მიზნით ცხოველი მუშავდება კვირაში ერთხელ, სამი კვირის განმავლობაში. პროფილაქტიკისათვის - თვეში ერთხელ.

გვერდითი მოვლენები

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენება

არ აღინიშნება.

სიფრთხილის ზომები

პრეპარატთან მუშაობას აწარმოებენ სპეციალური ტანსაცმლით (ხალათი, წინსაფარი, ქუდი, ხელთათმანები, დამცავი სათვალეები და რესპირატორი). მუშაობის დროს არ შეიძლება მოწევა, ჭამა და სმა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ აუცილებელია პირის გამოვლება, ხელების და სახის საპნით დაბანა. კანზე მოხვედრისას უნდა დაიბანოთ საპნით და დიდი ოდენობის გამდინარე წყლით.

ლოდინის პერიოდი: პროდუქტიულ ცხოველებში ლოდინის პერიოდი არის ნული დღე

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25 °C-ზე.

შეინახეთ ბავშვებისგან მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტეკსი“, საქართველო